ახალი გზა

,,ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძვერს გული,,



,,განთიად შეისმინო ხმისა ჩემისა, განთიად წარვდგე შენდა და გეჩვენო შენ,,

2024 წელი 26 ივლისი №7 (8206) ელფოსტა AxaliGantiadi@gmail.com

№3 ცხრაკლასიანი ბაღის 50 წლის შეუნარჩუნა

იუბილეს ესწრებოდნენ სხვადასხვა თაობის ყოფილი აღსაზრდელები, აღმზრდელები და მშობლები, რომლებმაც გაიხსენეს სწავლის და მუშაობის ეპიზოდები.

საბავშვო ბაღის პედაგოგიურ კოლექტივს იუბილე კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ და საკრებულოს თავმჯდომარემ შოთა ბეგლარაშვილმა მიულოცეს.

ვახტანგ მაისურაძემ საბავშვო ბაღის პედაგოგიურ კოლექტივს მადლობა გადაუხადა აღსაზრდელებზე ზრუნვისა და პასუხისმგებლობისთვის, წარმატება უსურვა და როგორც ყოველთვის მხარდაჭერა აღუთქვა.

საბავშვო ბაღში, რომელსაც 12 წელია თეა ქუტაშვილი ხელმძღვანელობს, შექმნილია ყველა ის პირობა, რომელიც ხელს უწყობს პატარების სკოლამდელი განათლების სათანადო გარემოში მიღებას.

კულტურის სახლის რეაბილიტაცია

ქალაქ კასპში დასრულდა ომარ კელაპტრიშვილის სახელობის კულტურის ცენტრის რეაბილიტაცია.

რეაბილიტირებული შენობა მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ საკრებულოს თავმჯდომარესთან შოთა ბეგლარაშვილთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა.

კულტურის სახლს რეაბილიტაცია ათეული წლების განმავლობაში არ ჩატარებია.

პროექტის დასრულებამ უზრუნველყო სამუშაო და სამეცადინო პირობების გაუმჯობესება.

ცენტრს ექნება როგორც კულტურული ასევე, საგანმანათლებლო დატვირთვა.

პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა, რომელიც ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულმა შპს "ბამა" -მ განახორციელა.

93-ე წლიან ჩვენი გზეთი იწერს, ვგროვებს, ინახავს რვიოთნიან ისტორიას, ხსოვს ვრ უხლიან ყვითელ ფრიცხს, ქმნის ჩვენი ცხოვრების შეუოვმაზებელ მატიანეს. გახლით ჩვენი მკითხველი!

,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამით,,

კასპის მუნიციპალიტეტში "სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში სამუშაოები აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს.

შეხვედრების დროს სხვა საკითხებთან ერთად მოსახლეობის მოთხოვნა უბნებში გარეგანათების მოწყობა იყო. მოსახლეობის გადაწყვეტილების საფუძველზე სოფელ სამთავისის, იგოეთის, მრგვალი ჭალის, ლამისყანის, ყარაფილის და აღაიანის უბნებში გარეგანათების მოწყობის სამუშაოები განხორციელდა.

გამოიწერეთ "ახალი გზა განთიადი"!

ფეხზე ცამეტიანი აქცია

კასპის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით და ჩვენი თანაქალაქელის, თბილისის გულის ცენტრის ადმინისტრაციული დირექტორის ზურაბ ნიპარიშვილის ინიციატივით, ქალაქ კასპში მორიგი უფასო სამედიცინო აქცია გაიმართა.

აქციის ფარგლებში, რომელიც მოიცავდა კარდიოლოგიური, ანგიოლოგიური და ენდოკრინოლოგიური პროფილის კონსულტაციებს და გამოკვლევებს, თბილისის გულის ცენტრის სამედიცინო პერსონალი 90 პაციენტს მოემსახურა.

კასპის მუნიციპალიტეტის მერია მადლობას უხდის თბილისის გულის ცენტრს თანამშრომლობისა და აქციისთვის.

სპორტული ინფრასტრუქტურული პროექტი

კასპის მუნიციპალიტეტში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიზნით გრძელდება სპორტული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. სადგურ მეტეხის დასახლებაში, ადგილობრივი ახალგაზრდების სურვილის გათვალისწინებით ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის მშენებლობა მიმდინარეობს. სამუშაო პროცესს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე და საკრებულოს თავმჯდომარე შოთა ბეგლარაშვილი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად გაეცნენ. მოედნის მოწყობის სამუშაოს ი/მეწარმე ვახტანგ კუჭაშვილი ახორციელებს, რომელიც მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

კოსტავას ქუჩაზე

ქალაქ კასპში კოსტავას ქუჩაზე რკინა-ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაო მიმდინარეობს.

მუნიციპალიტეტის მერიამ კედლის მოწყობა მოსახლეობის და ტრანსპორტის გადაადგილების უსაფრთხოების მიზნით დაიწყო.

მიმდინარე სამუშაო პროცესს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსთან აჩიკო გიგოლაშვილთან ერთად გაეცნო.

დამცავი კედლის მოწყობას შპს "მშენ +" ახორციელებს, პროექტი კი მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

რა კეთდება?

კასპის მუნიციპალიტეტის ალაიანის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ საქადაგიანოში სასაფლაომდე მისასვლელ გზაზე არმირებული ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაო მიმდინარეობს.

გზის საფარის დაგების სამუშაოს ი.მ. გიორგი ჩხარტიშვილი ასრულებს.

პროექტი "სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში ხორციელდება, რომელიც ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება

სოფელ გორაკაში

კასპის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან და გამყოფი ხაზისპირა სოფელ გორაკაში მისასვლელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოები დასრულების პროცესშია.

გზის მშენებლობას მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე საკრებულოს თავმჯდომარესთან შოთა ბეგლარაშვილთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად გაეცნო.

პროექტი ხორციელდება რეგიონული განვითარების ფონდისა და კასპის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით.

1 795 გრძივი მეტრი გზის რეაბილიტაციას, რომელზეც ასფალტის საფარი არასოდეს ყოფილა, შპს "იბოლია" ახორციელებს.

ახალი საგზაო ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს მოსახლეობის კომფორტულ გადაადგილებას და ადმინისტრაციულ ერთეულთან უპრობლემოდ დაკავშირებას.

სოფელ ოკამში

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ოკამში, ე.წ. თათარაშვილების უბანში გზაზე არმირებული ბეტონის საფარის დაგების სამუშაო დასრულდა.

რეაბილიტირებული გზის სამუშაოს კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე საკრებულოს თავმჯდომარესთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად გაეცნო. აღნიშნული პროექტი "სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში ი/მეწარმე დავით სუხაშვილმა განახორციელა. ადგილობრივებისთვის პრობლემური გზა გადასაადგილებლად კომფორტული და უსაფრთხოა. პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდა.

სოფელ ერთაწმინდაში

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ერთაწმინდაში, 760 გრძივი მეტრი გზის არმირებული ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაო გრძელდება.

სამუშაო პროცესს კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესთან შოთა ბეგლარაშვილთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად გაეცნო.

გადასაადგილებლად რთულ მონაკვეთზე უკვე მოწყობილია დამცავი კედელი, სანიაღვრე არხი, ასევე მიმდინარეობს ბეტონის საფარის მოწყობა.

დასრულების შემდეგ კეთილმოწყობილი საგზაო ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადგილობრივების უსაფრთხო გადაადგილებას.

პროექტს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "ბესკო" ახორციელებს.

გახარით ჩვენი მკითხველო!

აღწერა ჩატარდება ორ ეტაპად

2024 წლის მოსახლეობისა და სასოფლო-სამეურნეო აღწერის ფარგლებში, კასპის მუნიციპალიტეტში აღმწერის პოზიციაზე დასაქმების მსურველ აპლიკანტებთან გასაუბრების პროცესი ჩატარდა. მოსახლეობის გამოკითხვა იწყება 2024 წლის 14 ნოემბერს. მოსახლეობის აღწერა ჩატარდება ორ ეტაპად.

პირველი ეტაპი: 14-დან 23 ნოემბრის ჩათვლით ჩატარდება მოსახლეობის თვითრეგისტრაცია მთელი ქვეყნის მასშტაბით, რაც გულისხმობს წინასწარ მომზადებულ ვებ-პლატფორმაზე მოსახლეობის მიერ აღწერის კითხვარების შევსებას. მეორე ეტაპი: 29 ნოემბრიდან 19 დეკემბრის ჩათვლით კი საქსტატის მიერ წინასწარ მომზადებული საველე პერსონალი პლანშეტური კომპიუტერის მეშვეობით, მთელი საქართველოს მასშტაბით, თავიანთ სამუშაო არეალში მოახდენენ მოსახლეობის გამოკითხვას კარდაკარის პრინციპით.

სოფელ იდლეთში

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ იდლეთში რკინა-ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობა მიმდინარეობს.

მიმდინარე სამუშაოს კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე საკრებულოს თავმჯდომარე შოთა ბეგლარაშვილთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად გაეცნო. საყრდენი კედელი გზის და მოსახლეობის შენობების დაცვის მიზნით ეწყობა. პროექტს შპს "მშენ +" ახორციელებს, რომელიც ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

სოფელ თეზში განახლებული საბავშვო ბაღი სანოემბროდ გაიხსნება

საქართველოში შარშანდლიდან მოყოლებული მიმდინარეობს სკოლამდელი განათლების დაწესებულებების მშენებლობის ვრცელი პროგრამა: იგი რეგიონებში 885 ბაღის მშენებლობას ითვალისწინებს. ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ კასპის მუნიციპალიტეტში ბაღები შენდება ცხრა სოფელში (ოკამში, ღამისყანაში, ფერმაში, მეტეხში, ქვემო გომში, ახალქალაქში, ახალციხეში, კავთისხევსა და თვალადში).

არის სიახლის განსხვავებული ფაქტიც: სოფელ თეზში ბაღის ახალი შენობა კი არ იგება, არამედ ძველი ახლდება, კაპიტალურად რემონტდება (სადღეისოდ როგორც მიღებულია თქმა: "რეაბილიტირდება"), ოღონდ, იმდაგვარად, რომ ახალნაგებს შეედრება კი არა, ჩამორჩება კი არა, ბევრად დაემჯობინება.

***

თეზში საბავშვო ბაღის შენობის განახლების სამუშაოთა მიმდინარეობაზე სანამ რაიმეს ვიტყოდეთ, მანამდე, უპრიანია, მისი დაარსების ისტორიას გადავავლოთ თვალი და ისიც ვთქვათ, რატომ გახდა შესაძლებელი და სასურველი ძველი შენობის კარკასის შენარჩუნება:

სოფელში საბავშვო ბაღი 1983 წელს გაიხსნა. ამ საქმეს ინიციატორობდა იქაური ქალბატონი მარიამ ფსუტური. სწორედ ის დაინიშნა პირველ გამგედ და 2011 წლამდე ხელმძღვანელობდა კიდეც. ბაღი საწყისი 5 წლის განმავლობაში დაქირავებულ შენობაში ფუნქციონირებდა. აი, 1988 წელს კი ჭერქვეითი დაიდო ახალ, ტიპიურ, შენობაში. ის იმჟამად აშენდა განათლების სამინისტროს მეშვეობით, დაკომპლექტდა ახალი კადრით, ახალი ინვენტარით, მოიმატა ბავშვთა ჯგუფებმაც...

მკვიდრად ნაგები გახლდათ და მიდამოსაც ზედმიწევნით მოერგო, ისედაც მშვენიერი ნაძვნარის მწვანე ტერიტორია და მთლიანი შემოგარენი ერთიორად დაამშვენა და გაალამაზა... ჰოდა, თითქმის 40 წლის შემდეგ, როცა საკითხი დადგა მისი დანგრევა-დემონტაჟისა და მთლად ახლის აშენებისა, მშენებელ-პროექტანტებმა გათვალეს და გადაწყვიტეს: — შენარჩუნდეს! ოღონდ, საფუძვლიანად გამაგრდეს, განმტკიცდეს!

***

სოფელ თეზის საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო-განახლებითი სამუშაოების დამკვეთია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, შემსრულებელი ორგანიზაცია — შპს "აქსონი" (მენეჯერი — ეკა შანშიაშვილი, წარმომადგენელი — ირაკლი მეტრეველი, სამუშაოთა მწარმოებელი — ბესარიონ ნინიკელაშვილი).

მიმდინარე წლის ივნისის შუალედში მშენებლობა ადგილზე მოვინახულეთ ზემოაღნიშნული ფონდის წარმომადგენელთან კასპის მუნიციპალიტეტში, ლევან დემეტრაშვილთან, ერთად (წინამდებარე პუბლიკაციის მომზადებაში დახმარებისათვის მას მადლობას მოვახსენებთ). სანამ იგი მშენებელი ორგანიზაციის ადგილობრივ თავკაცებთან სამუშაოთა პროცესის მიმდინარეობასა და ცალკეულ დეტალებს აზუსტებდა და განიხილავდა, ჩვენ ვისარგებლეთ მომენტით და თავით ბოლომდე შემოვიარეთ ობიექტი, გამოვესაუბრეთ მშენებლებს, გადავიღეთ რამდენიმე კადრი...

ბესარიონ ნინიკელაშვილი — სამუშაოთა მწარმოებელი: დემონტაჟი მცირე მასშტაბით მაინც დაგვჭირდა, ძირითადად ბათქაშ-ნალესის მოსაშორებლად კედლებიდან და ჭერიდან, ძველ გაყვანილობათა გასაუქმებლად. ეს საქმე არ გასძნელებია გამოცდილ მშენებელთა სამეულს — ლევან, ზურაბ და გიორგი ჯავახიშვილებს. სამუშაოთა დაწყებიდან დღემდე აქაურობის სული და გულია ნაცადი ავტომძღოლი ნიკოლოზ მამიაშვილი. სამშენებლო ახალი მასალების შემოტანა თუ ძველი ნარჩენების გატანა, ყველაფერი ეს მის წილად მიითვლება... მარჯვენას უქებენ მშენებელ ვიტალი სიდამონიძეს... საქმე და საკეთებელი თუ ჰქონდა, უპირველესად, ტრაქტორის ოპერატორს ზურაბ ზანგურს. ისიც, როგორც სხვები, ადგილობრივი მაცხოვრებელია.

— ჩემი სახლი ბაღთან ყველაზე ახლოს მდებარეობს, — საუბარში ჩაგვერთო ტრაქტორისტი ზურაბი, — ფაქტიურად, ერთი ღობე გვაქვს სამიჯნეზე. ამიტომაა, რომ დილით, როცა ავდგები და გამოვიხედავ, საკუთარი ფანჯრიდანა და აივნიდან ბაღის ორსართულიან შენობას გამოვხედავ, ტანადი ნაძვების სიმწვანეში ჩადგმულ თანდათან გაკოპწიავებულ შენობას სიამით შევავლებ ხოლმე მზერას და გულში ნათელი მეფინება. ვიცი, თეზელი გოგო-ბიჭები და მათი აღმზრდელ-პედაგოგები სულ რამდენიმე თვეში, უკვე სანოემბროდ, ახალჭერქვეშ გადმობარგდებიან (ჩვენი შენიშვნა: განახლები. ამიტომ ახლა მათაც სიამოვნებით წარმოგიდგენთ: ალექსანდრე ღამბაშიძე, ბესიკ მაისურაძე, თენგო ცოტნიაშვილი (ესენი ერედველები არიან), თემურ ღამბაშიძე, გოდერძი ჭულუხაძე, ნიკალა ჭულუხაძე...

***

მუნიციპალური ფონდის წარმომადგენელი და მშენებლობის თავკაცები გვიხსნიან, თუ რას ითვალისწინებს შენობის განახლებადი და გამაგრებითი ხასიათის სამუშაოები:

— მთლიანი შენობის კარებებისა და ფანჯრების ღიობების მოჩარჩოება კუთხოვანი ლითონის მასალით;

— არსებული კედლების აგურწყობის შეჯავშნა არმატურით;

— არსებული ფუნდამენტური საძირკვლის წყალმედეგი საიზოლაციო ფენით დაფარვა და შეჯავშნა არმატურით...

გვეუბნებიან იმასაც, რომ შენობის სახურავის განახლება მომთავრებულია, ხოლო კედლებისა და ტიხრების შელესვა დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს... ეს ნიშნავს, რომ საქმიანი ფუსფუსია ობიექტის ყველა კუთხეში, სართულზე, ეზოში...

როგორც ითქვა, აქ ნაჩვენებია სამშენებლო სურათი, რაც თეზში დაგვხვდა შუა ივნისისათვის. მას შემდეგ ერთ თვეზე მეტი გავიდა და ნამდვილად შეიძლება იმისი თქმა, რომ იქ სადღეისო ვითარება გაცილებით უკეთესია და უფრო განმტკიცებული იმედი — ბაღის სანოემბროდ გახსნისა!

***

მაია ჩიტაშვილი — სოფელ თეზის საბავშვო ბაღის გამგე (2011 წლიდან):

— ახლახან დასრულებულ სასწავლო-სააღმზრდელო წელს ჩვენმა ბაღმა სასკოლო საგანმანათლებლო გზა დაულოცა 12 აღსაზრდელს (ეს ორჯერ მეტია, ვიდრე შარშან — 6)... აი, წელს კი, 2024 წლის ნოემბრისათვის გაცილებით მზარდი ნაკადის მიღებას ვვარაუდობთ და ვგეგმავთ. ასე რომ, სოფელში ახალი ბაღის არსებობამ დროულად მოგვისწრო.

როგორია ჩვენი საშემოდგომო მოლოდინი? — ამაღლებული, სიხარულისა და მღელვარების გრძნობით გაჯერებული! ყველა, თითოეული სკოლამდელი თეზელი აღსაზრდელი და მათი მშობლები გულისფანცქალით ველოდებით ნოემბრის მობრძანებას... არა, ბაღი შედარებით ადრე მომთავრდება, უკვე სექტემბრის ბოლოსათვის, მაგრამ ასეთი, წმინდა ანგელოზური სულისა და აურის დაწესებულება მარტო კედლები ხომ არ არის, თუნდაც ცინცხალი ჭერითა და იატაკით!

როგორია ჩვენი შემოდგომამდელი შეფასება და მადლიერება? — გულუხვი და კეთილი! უდიდეს მადლობას მოვახსენებთ ჩვენი მუნიციპალიტეტის მერს, ვახტანგ მაისურაძეს და მის მთლიან გუნდს! ასევე, ვემადლიერებით მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების მესვეურებს (დირექტორი მანანა ხვთისიაშვილი) და თანამშრომლებს.

როგორია ჩვენი — თაობათაშორისი საჩუქრის მიღების მოლოდინის რეჟიმში მყოფი — კოლექტივის ჩანაფიქრი და გეგმები? — სტუმარ-მასპინძლური! ნოემბერში ახალი ბაღის გახსნის ზეიმზე მოვიწვევთ ჩვენი სოფლის ხელმძღვანელებსა და ამაგდარ ადამიანებს... მათ შორის იქნება ქალბატონი მარიამ ფსუტური — ჩვენი ბაღის პირველი გამგე, ვის ხელშიც დაფრთიანდა თეზელი ასობით პატარა... გვეყოლება სხვა სასურველი სტუმრებიც.

... მალე მოვა შემოდგომა, მალე დადგება ნოემბერი.

მთავარია, მშვიდობიანი ცა გვქონდეს ქსნისპირა ისტორიულ სოფელში, მშვიდობა სუფევდეს ჩვენს ქვეყანაში, მთელ დედამიწაზე!

პ. ს.

მუნიციპალიტეტის სოფლებში საბავშვო ბაღების მშენებლობის თაობაზე, გასული ერთი წლის მანძილზე, უკვე ვისაუბრეთ რამდენჯერმე, კერძოდ, ოკმის, ქვემო გომის, ფერმის ბაღებზე... ჩვენი გაცნობითი სერიალი გრძელდება.

საკონცერტო პროგრამით

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სახელოვნებო სკოლების დაწესებულებების გაერთიანებასა (დირექტორი ლალი ჯანჯალაშვილი) თუ ქ. კასპის კულტურის ცენტრთან (დირექტორი მიხეილ ქოსაშვილი) არსებული რამდენიმე ანსამბლი შუა ზაფხულის საკონცერტო პროგრამით იმყოფებოდა უცხოეთში და წარმატებით გამოვიდა იქაურ ფესტივალებში, ზოგმა კი საქართველოს მასშტაბით მოიპოვა წარმატება.

,,მოურავი,, — ქ. ათენში

28-30 ივნისს საბერძნეთის დედაქალაქ ათენში, პირველად ქართული ემიგრაციის ისტორიაში, ჩატარდა ფოლკლორული საერთაშორისო ფესტივალი "საგანძური".

ჩვენი ვარსკვლავოსანი ანსამბლი "მოურავის" (ხელმძღვანელი — რევაზ კერესელიძე) ფესტივალში მონაწილეობა განაპირობა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის (მერი ვახტანგ მაისურაძე) მხარდაჭერამ. გამგზავრებამდე მის წევრებს შეხვედრა მოუწყეს მერიაში. ანსამბლი წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის საკათედრო ტაძარში დალოცა მამა ალექსანდრემ (გუბელაძე) და დიდი სიყვარულით მოკითხვა დააბარა საბერძნეთში მყოფ უამრავ ქართველ ემიგრანტთან.

ათენში მოქმედმა ქართულ-ბერძნულმა თეატრალურმა კულტურულმა ორგანიზაციამ "დიონისე" პირველად ჩაატარა ასეთი ფესტივალი, რომლის მიზანია ქართული ფოლკლორის პოპულარიზაცია უცხოეთში. ამიტომ იყო, რომ ორგანიზატორთა მხრიდან დიდი მადლობა დაიმსახურეს ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებმა: "მოურავმა", "ფესვებმა", "ლომისმა", "კავკასიამ", "კოლხიდამ" ...

კასპელ მომღერალთა ანსამბლს წილად ხვდა არა მარტო ათენური ფესტივლის საზეიმო გახსნის პატივი, არამედ იგი გახდა მისი მთავარი ჯილდოს მფლობელიც.

საყმაწვილო თეატრი ,,ფარდის მიღმა,,

კასპის საყმაწვილო თეატრი "ფარდის მიღმა" (რეჟისორი ეკატერინე ქვრივიშვილი) წლევანდელი მაისის ბოლოს მონაწილეობდა ქ. ჩილდრენის (თურქეთი) თეატრალურ ფესტივალში "არტ—სპრინგი — 2024". სამიოდე წლის წინ შექმნილმა დასმა, რომელშიც გაერთიანებული არიან მოსწავლეები ქ. კასპისა და აქაური სოფლების საჯარო სკოლებიდან, უკვე მოიპოვა სასცენო წარმატებანი როგორც საქართველოს შიგნით, ისე მის გარეთ. მისი დასტური იყო ამასწინანდელი ათენური (საბერძნეთი) ფესტივალიც.

ამჯერადაც დასი და მისი რამდენიმე წევრი თურქეთიდან ჯილდოებითა და რამდენიმე ინდივიდუალური პრიზით დაგვიბრუნდნენ, ხოლო მისი ხელმძღვანელი — მადლობის დიპლომით.

ნამდვილი ფოლკლორული ზეიმი
,,თამარისი,, ყვავილივით იშლება

წლევანდელ 23 ივნისს ნამდვილი ფოლკლორული ზეიმი ჩატარდა ომარ კელაპტრიშვილის სახლ-მუზეუმის ეზოში.

აქ სტუმრობდა ქ. რუსთავის საბავშვო ანსამბლი "თამარისი", რომლის ხელმძღვანელია შესანიშნავი ლოტბარი, მომღერალი და ინსტრუმენტალისტი თამარ ზარქუა.

ნიშანდობლივი ფაქტია: იგი თავის დროზე მღეროდა და უკრავდა დიდი მაესტროსა და მუსიკოს-შემსრულებლის — ომარ კელაპტრიშვილის მიერ დაარსებულ ანსამბლში "იავნანა" ("კელაპტარი"), რომელსაც იმჟამინდელ საქართველოში ანალოგი არ ჰყავდა. მისი მხრიდან კი შესანიშნავი ჟესტი და მადლიერების მიგება გახლავთ ის, რომ ქალბატონ თამარს სოფელ კავთისხევში თავისი ანსამბლის სხვადასხვა თაობელი ახალგაზრდა მუსიკოსები ჩამოჰყავს საექსკურსიოდა და საკონცერტოდ.

ამჯერად უკვე მეხუთე თაობის გოგო-ბიჭები ასტუმრა.

ქ. რუსთავიდან ანსამბლს თან ახლდა ცნობილი დოკუმენტალისტი და რეჟისორი ალექსი გელაშვილი, რომელმაც "თამარისის" მთლიანი საკონცერტო გამოსვლა გადაიღო.

მოხდა სასიამოვნო დამთხვევაც: იმ კვირადღეს კავთისხევს საექსკურსიოდ სტუმრობდნენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ გომბორის საჯარო სკოლის მოსწავლეები და მშობლები. კონცერტს ესწრებოდნენ, აგრეთვე, მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების გაერთიანების დირექტორის მოადგილე თეონა ბეინაშვილი, სოფელ ლამისყანის ჯამბაკურ-ორბელიანთა სასახლე-მუზეუმის მენეჯერი სოფიო ცუცუნაშვილი, ადგილობრივი საკრებულოს დეპუტატი მაია კაციაშვილი, პედაგოგები და სტუმრები...

ეპოქა და ეპოქის შვილები

21 ივნისს კასპის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის (მენეჯერი ლ. პეტრიაშვილი) მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელმა ნანა მერებაშვილმა მოსწავლეებთან ერთად გადაწყვიტა პროექტის ,,ეპოქა და ეპოქის შვილების" ეგიდით, სასწავლო წლის ბოლოს, ტრადიციულად მოეწყო გასვლითი ღონისძიება - ,,არ არის მკვდარი ვინც მოკვდეს და ხალხს შესწიროს დღენია", რომლის მიზანი იყო მოსწავლეებს მოენახულებინათ თეძმის ხეობის ღირსშესანიშნაობები და გაეხსენებინათ მასთან დაკავშირებული შესწავლილი მასალა.

ღონისძიების მონაწილეებმა თავდაპირველად მოინახულეს მე-17 საუკუნეში, როსტომ მეფისა და მისი მეუღლის მარიამ დადიანის მიერ, თეძმის პირას გაშენებული ,,მეფის ქალაქის" დროინდელი ციხე-გალავანი, შემდეგ პატივი მიაგეს და ყვავილებით შეამკეს სოფელ კველთის მცირე სამწყსოს მწყემსი კეთილის, ქართველობას შეწირული თევდორე მღვდლის ბიუსტი (მოქ. დ. ნავროზაშვილი).

მოსწავლეებმა: ბარბარე ჩარაევმა და მარიამ ყაზარაშვილმა მხატვრულად წაიკითხეს წმინდანისადმი მიძღვნილი ლექსები.

წრის ხელმძღვანელმა ნ. მერებაშვილმა მოსწავლეებს გააცნო ისტორია ,,მარშლიაანთ სასახლის", ბელეცკების (ბოლგარსკები) საზაფხულო აგარაკისა და გამოჩენილი მწერლის ეკატერინე გაბაშვილის შესახებ, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობაში, ქალთა პროფსკოლის დაარსებასა და პროზის მცირე ჟანრის განვითარებაში. მან ასევე ისაუბრა მე-19, მე-20 საუკუნეებით დათარიღებულ ფავნისის წმ. გიორგის ეკლესიაზე, სადაც შემორჩენილია კანკელის ფრაგმენტები და ფრესკები საუფლო დღესასწაულებით, რომელთა ასლი შესრულებულია მხატვარ-რესტავრატორ თემო ჯაფარიძის მიერ. დაცულია კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

მოსწავლეებმა მოინახულეს ერთაწმინდის ტაძარი. ტაძრის მოძღვარმა მამა თევდორე სულუაშვილმა დალოცა მოსწავლეები, უამბო წმ. ესტატეს მოწამეობრივი ცხოვრებისა და სოფლის ტოპონიმის შესახებ. აჩვენა ადგილი, სადაც დაკრძალულია პაატა საკაძის თავი.

მოსწავლეებმა ეკლესიის გალავანში დაკრძალული მუშა-პოეტის სეზმან ერთაწმინდელის (ბატკუაშვილი) საფლავიც მოინახულეს, რომელსაც ეკუთვნის შემდეგი სიტყვები: არასოდეს კვდებიან სამშობლოს თავდადებული მსახურები, მათი ხსოვნის ყვავილნი ხალხის გულში რჩებიან, შვილისშვილებს სწვდებიან და არ იკარგებიან.

ერთაწმინდის შემდეგ ახალციხე-ნოსტის სანახები გადაიშალა. პროექტის მონაწილეები დაინტერესდნენ 1868 წ აშენებული ეკლესიითა და მე-18 საუკუნით დათარიღებული ციხე-ნამოსახლარით.

დიდი მოურავის კოშკისაკენ მიმავალი გზა მოსწავლეებმა საქართველოს დროშით განაგრძეს. მხარეთმცოდნეობის წრის წევრები: გიორგი და ლიზი ხუციშვილები, უჩა გოგოლაძე, მარიამ ყაზარაშვილი, ბარბარე და ანდრია ჩარაევები, საბა წინამძღვრიშვილი, ნატალი ნონიაშვილი, ნინო გაბოშვილი, ლუკა ქენქაძე და ბარბარე ირემაშვილი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ლექსების თქმასა და გიორგი სააკაძის ,,საკვირველ საქმეთა" გახსენებაში. შემოქმედებითი წრის ხელმძღვანელის მანანა ყაბანაშვილის ლექსი წაიკითხა გიორგი ხუციშვილმა. ღონისძიება დადებითად შეაფასეს კასპის №4 საჯარო სკოლის პედაგოგმა გულო გიგაურმა, სამოქალაქო წრის ხელმძღვანელმა ქეთევან გეჯაძემ, მშობლებმა მარინა ნაგელიშვილმა და მარიამ კანთელაშვილმა. მათ მადლობა გადაუხადეს კასპის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს ბატონ ზურაბ კოპაძესა და სახელოვნებო სკოლების დაწესებულებების გაერთიანების დირექტორს ქალბატონ ლალი ჯანჯალაშვილს პროექტის განხორციელებისათვის, წრის ხელმძღვანელს ნანა მერებაშვილს საინტერესო და შინაარსიანი ღონისძიებისათვის, მძღოლს დავით ბუნტურს მშვიდობიანი მგზავრობისათვის. ასე დასრულდა შთაბეჭდილებებითა და ხალისით სავსე დღე.

ძვირფასო რედაქციავ...

ზუსტად არ მახსოვს, დაახლოებით 25 ან 30 წლის წინ მარცხენა კიდურის იდაყვიდან მხარამდე საშინელი ტკივილი გამიელვებდა ხოლმე. ასე გრძელდებოდა თითქმის ერთი კვირა, მეოთხე დღეს სამსახურში დამეწყო საშინელი ტკივილი, მაგიჟებდა, მაშინ ჩემმა თანამშრომელმა ნანა აბუაშვილმა მითხრა: – როდემდე უნდა გტკიოდეს, როგორც ვატყობ ნერვია და წამოდი, პოლიკლინიკაში წავიდეთ, კუსა ექიმს მივმართოთ დახმარებისათვისო. სიმართლე გითხრათ არც გამეგო მის შესახებ.

უნდობლობით შევხვდი, ისე მტკიოდა, რომ დარწმუნებული ვიყავი ვერაფერს მიშველიდა. ექიმმა გულდასმით მომისმინა, მომცა სათანადო დანიშნულება... მეორე დღეს უკვე შვება ვიგრძენი, თითქმის გამიარა ტკივილმა. მართალი იყო ჩემი თანამშრომელი. ნერვის ანთება მქონდა და ვისაც გამოგიცდიათ, იცით რა საშინელი ტკივილი იცის.

ექიმთან პირველი ვიზიტის შემდეგ მომეცა იმის რწმენა, რაც უნდა ამტკიოდა მისი დანიშნული წამლები ყოველთვის განმკურნავდა, ამიტომ ხშირად ვაკითხავდი.

ერთი თვის წინ ძალიან ცუდად გავხდი, ვინც კოვიდი გადავიტანეთ, ფსიქიკა დაგვინგრია. საშინელი დღეები გამოვიარე და ისევ კუსა ექიმს მივაკითხე. სათანადო დანიშნულება მომცა, სანამ წამალს შევიძენდი, კასპში არ იყო ის წამალი, უფრო ცუდად გავხდი. მაშინ ჩვენებმა თბილისში, სხვა ექიმს შემახვედრეს. რომ ნახა დანიშნულება, მაშინვე ის თქვა, კარგი დანიშნულება მოუცია, იყიდეთ წამალი და ყველაფერი მოგვარდებაო. მართლაც, დავიწყე თუ არა წამლების მიღება, მაშინვე დავუბრუნდი ჩვეულ მდგომარეობას. პოსტკოვიდურ აშლილობას ჩემ გარშემო ხშირად ვისმენ, ამიტომ მოვინდომე ჩემი გამოცდილების გაზიარება. უპირველესად უღრმესი მადლობა კუსა ექიმს, ჩემთვის შეუფასებელია მისი გულისხმიერი დამოკიდებულება.

მე სამედიცინო ცენტრ "ავერსის" უკმაყოფილო იმით ვარ, რომ მოცულობით პატარაა და ეს სხვადასხვა უხერხულობას გვიქმნის. რაც შეეხება ექიმებს, ვისი პაციენტიც ვყოფილვარ ღრმა პატივისცემას გამოვხატავ ყველა მათგანის მიმართ. ესენი არიან ოჯახის ექიმები: ნოდარ სუხაშვილი, თენგიზ მამაცაშვილი, ნინო ილურიძე, ოფთალმოლოგი ნანა ბესტავაშვილი, ენდოკრინოლოგი ხათუნა ბერბიჭაშვილი, დავფასოთ ჩვენი ექიმები, კიდევ ერთხელ ყველას დიდი მადლობა ყურადღებისა და მზრუნველობისათვის.

ქეთევან გორგაძე.

,,ახალი განთიადი,, იძებნება ინტერესო ადამიანებს რეიონიდან ავგუსტოთ თემებიანად შეგვეკრებოდა.

თხოვნით მივმართავთ თანამრეიონელებს - დადგეთ თქვენი ყველა ჩვენი მეგობარ მასალაში! გამოგვიგზავნეთ ინტერესო თემები!

,,ახალი განთიადის,, მკითხველს შეუძლია მოგვწოდოს თავისი შედგენილი - ხალვწრო ყრიხვორდები, შემეცნებით-გასართობი მასალები. მათგან ყველაზე საინტერესო გამოქვეყნდება სპეციალური რუბრიკით ,,გონებანი გონიერნი,, დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია მოგვმართოს მისამართზე - ყახჩა, ხაყაძის ქ. 68. ან დარეკოს ტელეფონზე: 0 371 222576.

ერთად ფიქრის სიხარული

ბავშვობაში ნასწავლი ლექსები, სიმღერები, ცეკვები თავისდაუნებურად მთელი ცხოვრების მეგზურები ხდებიან... თვითგამოხატვის, შემეცნების, კითხვებზე პასუხების ძებნის გზაზე მაშველი რგოლებივით გვიადვილებენ თავგადასავალს.

უფროსები ხშირად ვხდებით სასკოლო წარმოდგენების მაყურებელნი. ძალიან იშვიათად გვამახსოვრდება ისინი და თუ დავიმახსოვრეთ, თუ დაგვაფიქრეს, თუ გაგვითბეს გული, ძალიან მადლიერები ვართ და ვხდებით - ამ ცხოვრების დიდი მაგია სწორედაც ერთად ფიქრის სიხარული ყოფილა, ბატონებო.

სასწავლო წლის ბოლო თვეს კასპის №1 საჯარო სკოლაში IV-გ კლასმა წარმოდგენა გამართა. აი რას ამბობს კლასის დამრიგებელი თამარ პავლიაშვილი:

- სადამრიგებლო კლასი პირველად ავიყვანე 20-წლიანი პედაგოგიური მუშაობის მანძილზე. მინდოდა მესწავლებინა ერთმანეთის გატანა, გვერდში დგომა, საერთო საქმისათვის თავდადება; მინდოდა მეგრძნო სიყვარული მათ გამოხედვასა და ფიქრში. მეც ვიფიქრე, ბევრი ვიფიქრე, როგორ და სად შეიძლებოდა ამის გაკეთება და თავისით დაიბადა პიესა და სპექტაკლი, თეატრი და როლი, სხვაგან სად, თუ არა საკუთარ როლში შეიძლება განავარდება.

22 მოსწავლე, როლი ყველასათვის უნდა შემექმნა, რომ ერთმანეთი შეეგრძნოთ, შეესწავლათ, ერთმანეთს დაკვირვებოდნენ...

ავდექი და უბრალოდ დავწერე სცენარი შეკრული ყველაზე დიდი იდეალებით: სამშობლოს სიყვარული, დედის კულტი, მეგობრობა, კეთილსა და ბოროტს შორის ბრძოლის ჟინით დამარცხებული ბოროტება; სიკეთის, სიყვარულის, რწმენისა და იმედის ზეიმი.

ეგზიუპერისა არ იყოს "ჩვენ ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ", ყველაფერი ბავშვობიდან იწყება, ამიტომ შევქმენი ლამაზი ზღაპარი, რომელიც არ გვინდა რომ დასრულდეს.

იდეა იქცა პიესად, პიესიდან შეიქმნა სცენარი და გაბრწყინდა ჩემი პატარების გულებში, გულიდან ამოღვრილ სიტყვებში, ცეკვასა და სიმღერაში.

ჩემი ყველაზე ერთგული მეგზურები, პატარების აღზრდაში, მათი მშობლები არიან გოგონები, სავსე სიკეთითა და ხალისით, ჭკვიანები, მშრომელები, მართლაც რომ დაუღალავად იდგნენ ჩემს გვერდით ორი თვის მანძილზე რეპეტიციებზე, უშუალოდ ჩაერთვნენ სპექტაკლშიც. მშობლებმა საკუთარი ხელით შექმნეს დეკორაციები, ჩვენს გვერდით იყო ყოფილი კლასელის დედა ქალბატონი ირინა მანძულაშვილი, რომელმაც დეკორაციების აწყობაში დიდი წვლილი შეიტანა. დიდი მადლობა მას ამ სიყვარულისათვის.

ასევე მადლობა მუსიკის პედაგოგს ლალი ღვინიაშვილს.

სამზადისში მონაწილეობდნენ მშობლები: რუსუდან ვახტანგიშვილი, ია დალაქიშვილი, თეონა ცოცხალაშვილი, ლელა მუმლაური, ნინო გოგოლაძე, ირინა იოსელიანი, მარი თოგოშვილი, ცია ჩადუნელი, მარი მარიდაშვილი, ნათია ლილუაშვილი, მაკა მჭედლიშვილი, თეონა ბერიანიძე, ნინო მწითურიძე, მარინე აზმაიფარაშვილი, მარი თაბუაშვილი, თიკო ახლოური, ნინო მარტიაშვილი, გუჩი ხორბალაძე, თიკო გაბოძე, ლელა ზავრადაშვილი.

წარმოდგენაში მონაწილეობდნენ მოსწავლეები: ბარბარე ბერიანიძე (წამყვანი I), გიორგი მარიდაშვილი (წამყვანი II), კატო ჯაბაური (წამყვანი III), ელენე კოხრეიძე (ფერია რწმენა), ნათია ლილუაშვილი (დედა ანგელოზი), ნუცა ხინჩაგოვი (ფერია იმედი), ირმა ვეკუა (დედა ანგელოზი), ელენე კლერტიაშვილი (ფერია სიყვარული), მარი მარიდაშვილი (დედა ანგელოზი), ლიზი გრიგორიანი (ფერია ბედნიერება), გუჩი ხორბალაძე (დედა ანგელოზი), ნინი დავლაშერიძე (კეთილი ჯადოქარი), ნინი კორაშვილი (დაკარგული შვილი), მაკო მჭედლიშვილი (მისი დედიკო), დემეტრე დავითაშვილი (ტყის სამეფოს მეფე), მარია კილაძე (ტყის სამეფოს დედოფალი), ალექსანდრე მალაციძე (ტყის მცველი); უფლისწულები: – საბა პაპაშვილი (უფლისწული I), გაბრიელ მერებაშვილი (უფლისწული II), ნიკოლოზ ბუთხუზი (უფლისწული III), დემეტრე გიგიტიშვილი (უფლისწული IV). – თეკლა გულიკაშვილი (ბოროტი ჯადოქარი), – თიკო ობგაიძე (ბოროტის თანაშემწე), I – რატი თამარაშვილი (ბოროტი ჯადოქრის რაინდი I), ალექსი ბარნოვი (ბოროტი ჯადოქრის რაინდი II), გიორგი აჯიაშვილი (ბოროტი ჯადოქრის რაინდი III), დემეტრე გელიტაშვილი (ბოროტი ჯადოქრის რაინდი IV).

ვსარგებლობთ შემთხვევით და უღრმეს მადლობას მოვახსენებთ დირექტორს მაია დაბრუნდაშვილს და სკოლის დირექტორის მოადგილეს ნანა ოთარაშვილს, თანადგომისა და საინტერესო შეფასებისათვის.

განსაკუთრებული მადლობა პირველი საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლეს ანუკი პაპაშვილს, რომელმაც დაუღალავი შრომითა და გვერდში დგომით გაგვილამაზა სპექტაკლი.

მადლობა ინგა თაბუკაშვილს, რომელმაც დაგვითმო დარბაზი რეპეტიციებისათვის.

ადრე თუ გვიან ზღაპრები მთავრდებიან და პირისპირ გვტოვებენ ცხოვრებასთან. ჩინებული საგზალი მიიღეს თავის წარმოდგენაზე IV-გ კლასის მოსწავლეებმა.

საუკეთესო წარმოდგენის შემდეგ დაიბადა იდეა, ხომ არ ჩამოყალიბდეს სკოლის თეატრი?

პირველი საჯარო სკოლა ყოველთვის გამორჩეული იყო კლასგარეშე ცხოვრებით. იქნებ დადგა ერთად ფიქრის სიხარულით ტრადიციების აღდგენის დრო.

მომავალი სასწავლო წლის ბოლოს კლასი თუ საინტერესო, მრავალმხრივ, შემეცნებით წარმოდგენას შემოგვთავაზებს, სწორედაც რომ საგულისხმო საბაბი იქნება სკოლის მოყვარულთა თეატრის შესაქმნელად. მანამდე კი დაველოდოთ ახალ თანამედროვე ზღაპარს "საბუდარის" ტყიდან.

სპორტ INFO

საზაფხულო-სპორტული ...

ჭადრაკი – შოთა ჯაბაურის ტრადიციული მემორიალი

დიახ, ესაა მემორიალური ხასიათისა და უკვე ტრადიციული, მუნიციპალური ერთი ღია პირველობა, რომელსაც სათავე დაუდეს კასპელი კოლორიტული ფიგურის, ინჟინრისა და პედაგოგის ახალგაზრდა კოლეგებმა და მეგობრებმა, რომელთაც მისებურად უყვარდათ ესოდენ პოპულარული და ყველა დონეზე ხელმისაწვდომი ჭადრაკი. აი, ასე, დაიწყეს მოკრძალებულად, მისი სახელის საუკვდავოდ და, აგერ, წლების შემდეგ ჩანს, რომ მათი ჩანაფიქრი გამართლებულია: საქალაქო ღონისძიება გადაიქცა ჯერ სამხარეო ღია ტურნირად და ახლა კი ცხადი ხდება, რომ მალე, იქნებ საგაისოდაც, ტურნირი გახდება რესპუბლიკური და მიენიჭება სათანადო სტატუსი. თანამდგომნი და მოაზრენი უკვე გამოჩნდნენ, მხარდამჭერები არიან თბილისურ საჭადრაკო წრეებში, ესწრებოდნენ კიდეც ამ ტურნირს და მოიწონეს მისი ორგანიზაციული მხარე. ბატონებმა გიორგი ხომერიკმა და დავით ქარდავამ (ისინი თავის დროზე თამაშობდნენ თბილისისა და აფხაზეთის ნაკრებ გუნდებში) განაცხადეს, რომ გაისად კასპის ტურნირზე უზრუნველყოფენ აფხაზეთის სახელით გუნდის ჩართვას.

მარტო ესენი, შოთა ჯაბაურის კასპელი მეგობრები და ჩვენი სასპორტო გაერთიანების დირექცია და ჭადრაკის მწვრთნელები არა, მისი ვაჟიშვილიც – ავთანდილ ჯაბაური გახლავთ ტურნირის მოამაგე, საქმიანი მხარდამჭერი.

... გაგაცნობთ შოთა ჯაბაურის სახელობის "მემორიალი – 24"-ის გამარჯვებულ- პრიზიორებს: პირადული ჩათვლა – 1-2: ივანე სიფრაშვილი (6 ქულა) და აკაკი ზარდიაშვილი (5,5) – ორივე კახეთი, 3. დავით სამსონაძე (5) – მესხეთ-ჯავახეთი; გუნდური პირველობა – 1. კახეთის ნაკრები (16,5 ქულა), 2. კასპი (12,5), 3. ახალციხე (10 ქულა).

აღნიშნულ ტურნირში კასპის გუნდში გამოდიოდნენ: მამუკა ზაქარაშვილი, ზაზა გორგაძე და მიხეილ მაკეევიჩი.

✦ დავით ნინიკაშვილი – ჭაბუკთა პირველობის ჩემპიონი:

29 ივნისს ქ. ახმეტაში გაიმართა კიდევ ერთი ცნობილი მოჭიდავის, საქართველოს 5-გზის ფალავნის, ზაქარია ბაკურაძის 100-წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს პირველობა ჭაბუკთა შორის. 80 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში გაჩემპიონდა კასპელი დავით ნინიკაშვილი (მეორე იყო თელაველი რამაზ თეთრაშვილი, მესამე – ხაშურელი გიორგი ქიტიაშვილი).

✦ ჭიდაობა ძიუდო: სანდრო ახლოური ჩემპიონია!

ქ. თბილისის ძიუდოს აკადემიის დარბაზში 21-23 ივნისს ჩატარდა საქართველოს პირველობა (ახალგაზრდებისათვის).

ჩვენი გაერთიანების მოჭიდავეთა გუნდი 6 სპორტსმენით გამოდიოდა: ნიკა ბერიანიძე (66), სანდრო ახლოური (73), სოლომონ მერებაშვილი, სოსო ჟივიძე და დავით ნინიკაშვილი (სამივე 81), ასევე, გიორგი რთველიაშვილი (მძიმე წონა).

მათგან ყველაზე უკეთ სანდრო ახლოურმა იჭიდავა, რომელმაც ჩემპიონობა მოიპოვა პირველივე დღეს. დასანანია, რომ მას სხვებმა მხარი ვერ აუბეს შეჯიბრების ვერც პირველ და ვერც მეორე დღეს.

✦ ქართული ჭიდაობა – გვყავს ორი პრიზიორი

13 ივლისს ქ. ქარელში ჩატარდა დურმიშხან და ზვიად ბერუაშვილების ხსოვნის დღისადმი მიძღვნილი ტურნირი (დიდებში).

ხუთი წონითი კატეგორიიდან პრიზიორები გვყავს ორში:

60 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ფინალური ორთაბრძოლა დათმო და ვიცე-ჩემპიონობას დასჯერდა ჯაბა პაპინაშვილი, ხოლო 90 კილოგრამამდე წონის მოჭიდავეთა სამეულში შევიდა ბაქარ ერაშვილი (მესამე ადგილი).

ქართული ჭიდაობა – ირაკლი დემეტრაშვილი მესამეა!



საქართველოს ფალავნობის რეკორდსმენი, ქვეყნის 8-გზის ფალავანი, ახმეტელი ალექსი დავითაშვილი 50 წლისა შესრულდა. 21 ივნისს მისი იუბილის აღსანიშნავი დიდი ჭიდაობის ზეიმი ყვარლის სოფელ შილდაში გაიმართა (იქაა ქართული ჭიდაობის საერთაშორისო მასშტაბის კომპლექსი). შეჯიბრებაში ისეთი მოჭიდავეები გამოვიდნენ – ნამდვილი ფალავნები, რომ მეტი არ შეიძლება!

საბოლოოდ, ადგილები ასე განაწილდა: 1. – ონისე ბუღაშვილი (საჩხერე), 2. გიორგი პაპუნაშვილი (გორი), 3. ირაკლი დემეტრაშვილი (კასპი). ისინი ფულადი პრიზებით დაჯილდოვდნენ.

საინტერესოა, რომ კასპის წარმომადგენელი გამოდიოდა ორივე ნახევარფინალურ წყვილში (ბუღაძე – დემეტრაშვილი, პაპუნაშვილი – მღებრიშვილი). დასანანია, რომ ამ ეტაპზე ორივე დამარცხდა, ანუ ვერ გააღწია გადამწყვეტ ორთაბრძოლამდე. ამის შემდეგ კასპელები ერთმანეთის პირისპირ დადგნენ, სადაც დემეტრაშვილმა იმარჯვა და ფალავნის საიუბილეო ფალავნობის მესამე პრიზიორი გახდა. ანუ, ეს ნიშნავს, რომ კახეთში ერთმა იმერელმა ფალავანმა სძლია სამივე ქართლელს (ბუღაძე საქართველოს 2-გზის ფალავანია. ეს ისაა, ჩვენებურმა გიორგი კაციაშვილმა რომ მოუგო 2016 წელს. აი, პაპუნაშვილი კი რამდენიმეგზის პრიზიორია).

მადრიდელი მწვრთნელების 3-დღიანი კემპი

კასპის საკალათბურთო დარბაზში ა. წ. 10-12 ივლისს 3-დღიანი სასწავლო-სავარჯიშო კემპი მოაწყეს ქ. მადრიდის (ესპანეთი) საკალათბურთო კლუბი "ზბკ მადრიდის" წამყვანმა მწვრთნელმა, მოთამაშეთა ფიზიკური და ინდივიდუალური მომზადების კვალიფიციურმა სპეციალისტმა, 35 წლის მარსელო ვილაბრან ანაბალონმა და ამავე კლუბის 18-წლამდელთა ასაკობრივი გუნდის მოთამაშემ, 17 წლის მსუბუქმა ფორვარდმა პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკიმ.

ქართველი ჭაბუკი, რომელიც თბილისის კლუბების "იბერიისა" და "ჰიუნდაის" ასაკობრივ ნაკრებებში გამოდიოდა, შარშანდლიდან გამოჩნდა მადრიდულ კლუბში და იქ ადგილი დაიმკვიდრა. იგი ესპანეთის დედაქალაქის "მირასიერას" ცნობილი უბნის სასწავლო სკოლის დამამთავრებელ კლასშია და დიდ კალათბურთზე მეოცნებე ჭაბუკს, ალბათ, ახლო მომავალში ვიხილავთ ევროპის რომელიმე საკალათბურთო ქვეყნის გუნდში.

ქართული სამეფო გვარის – ბაგრატიონ-გრუზინსკების ახალგაზრდა შთამომავალი ამჟამად საზაფხულო არდადეგებზე იმყოფება საქართველოში და გარკვეულ დროს ისტორიულ სოფელში – ერთაწმინდაში ატარებს მადრიდელ მეგობართან ერთად. აქაა მათი წინაპრული საცხოვრისი და მისმა მამამ, ცნობილმა კომპოზიტორმა ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკიმ ძველისძველ სამფლობელოში თანამედროვე საოჯახო სასტუმრო და აგარაკი მოაწყო...

მამა-შვილმა გრუზინსკებმა დიდი და შორს მიმავალი გეგმა დაისახეს ქ. კასპში კალათბურთის შემდგომი განვითარების, ხელშეწყობისა და განშლისათვის. ეს კემპი ამ გეგმის გაცხადების საწყისი ღონისძიება აღმოჩნდა. როგორც წესი, მათ იდეურ ჩანაფიქრს მყისიერი საქმიანი დაინტერესება და მხარდაჭერა მოჰყვა კასპის მუნიციპალიტეტის თავკაცთა (მერი ვახტანგ მაისურაძე, მოადგილე ზურაბ კოპაძე), ასევე, მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურისა (უფროსი თეა ხორბალაძე) და სპორტდაწესებულებათა გაერთიანების (დირექტორი შოთა გოგიაშვილი) მხრიდან.

სასწავლო-სავარჯიშო კურსი გაიარა დახლოებით 100 ნორჩმა კალათბურთელმა (მათივე მწვრთნელების ჩართულობითა და მეთვალყურეობით). ციკლის გავლის დასტურად მათ გადაეცათ სათანადო სერტიფიკატები. სტუმრებმა კლუბის სახელით მაისური გადასცეს მერს ვახტანგ მაისურაძეს. თავის მხრივ, მადლიერების ნიშნად, მადლობის სიგელები გადაეცათ მადრიდელ მწვრთნელებს.

რაც მთავარია, ორმხრივი ურთიერთობის პერსპექტივა შორსმიმავალია, უკვე ამ შემოდგომაზე მხარეები სათანადო მემორანდუმს გააფორმებენ.

რა გაკეთდა?

✦ განათლება, საჯარო სკოლები

საჯარო სკოლებში სასწავლო პროცესის სათანადო პირობებში ჩატარების ხელშეწყობა აუცილებელია. მოგეხსენებათ, განათლებული თაობა ქვეყნის მომავალი და საყრდენია, მათში ჩადებული ინვესტიცია კი ასევე ქვეყნის წინსვლის სამომავლო საწინდარი.

2023 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან 117 000 ლარის ფარგლებში ცენტრალური გათბობის სისტემის მოწყობის სამუშაოები განხორციელდა სოფელ ახალციხის და მიქელწყაროს საჯარო სკოლებში.

✦ სკოლები, "მუნიციპალური განვითარების ფონდი"

სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლაში ევროსტანდარტების შესაბამისი, ეკოლოგიურად სუფთა მასალების გამოყენებით მიმდინარეობს სრული რეაბილიტაციის სამუშაოები. რეაბილიტაცია 2024 წლის ზაფხულში დასრულდება (ღირებულება 2 600 000 ლარზე მეტია).

✦ მერიის მუნიციპალური პროგრამით

წლებია, მაღალქულიანი სტუდენტებისა და მაგისტრებისთვის მერიას დაწესებული აქვს ტარიელ შარიფაშვილის სახელობითი სტიპენდია.

სტიპენდია ტარიელ შარიფაშვილის ხსოვნის უკვდავსაყოფად დაარსდა და წარმატებულ სტუდენტებს ენიჭებათ. სტიპენდიის მიზანია ფინანსური, მორალური მხარდაჭერა და წახალისება.

პირველი სემესტრის მონაცემებით სტიპენდია 9 სტუდენტს დაენიშნა; ასევე, ოქროს და ვერცხლის მედალოსნებისთვის დაწესებულია ფულადი ჯილდო თითოეულს 1 000 ლარის ოდენობით. 2023 წელს "კასპობის" დღესასწაულზე 43 წარჩინებული კურსდამთავრებული დაჯილდოვდა (43 000 ლ.).

✦ გამწვანებისა და დასუფთავების აქცია

მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეები და ა(ა)იპ-ის თანამშრომლები პერმანენტულად მონაწილეობდნენ დასუფთავების და გამწვანების აქციებში.

გამწვანების აქციები ჩატარდა საბავშვო ბაღებსა და სკოლებში, სადაც უფროსებთან ერთად აღსაზრდელები და მოსწავლეებიც მონაწილეობდნენ.

"სოფლის მხარდაჭერის პროგრამა"

"სოფლის მხარდაჭერის" სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 2023 წელს საქართველოს მთავრობის განკარგულებით ცენტრალური ბიუჯეტიდან 950 000 ლარი იყო გამოყოფილი, რომელიც მოსახლეობის მიხედვით 73 სოფელზე განაწილდა (10 000, 12 000, 15 000 და 20 000 ლარი). ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაემატათ თანადაფინანსება 825 000 ლარი, ჯამში სულ 1 775 000 ლარი.

აღნიშნული თანხით მუნიციპალიტეტში მოსახლეობის მიერ სოფლის კრებებზე შერჩეული 89 პროექტი განხორციელდა.

როგორც ყოველთვის, ძირითადი პრიორიტეტები იყო: სასოფლო გზების მოხრეშვა, გარეგანათების, სასმელი, სარწყავი წყლის და სანიაღვრე სისტემების, სკვერების, სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა და სხვა.

✦ ნარჩენების მართვა, ტექნიკის შეძენა

ნარჩენების მართვის გაუმჯობესების მიზნით მერია ცდილობს მომსახურების გაუმჯობესებას. ამ მიზნით ყოველწლიურად საჭირო ტექნიკის შეძენას ახორციელებს.

2023 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეძენილია 2 ერთეული ახალი ნარჩენმზიდი ავტომანქანა, 50 ერთეული გალვანიზირებული ნარჩენშემკრები კონტეინერი, ასევე 1 ერთეული მრავალფუნქციური ბორბლიანი ექსკავატორ-დამტვირთველი.

2023 წლის ბოლოს შეძენილია გრეიდერი, რომლის საჭიროების აუცილებლობა მუნიციპალიტეტში არსებობდა. მერია ნარჩენმზიდი ავტომანქანების და ნარჩენშემკრები კონტეინერების შეძენას გააგრძელებს, ვინაიდან ზოგიერთ სოფელში ნარჩენების გატანა



დღემდე ძველი არასტანდარტული ა/მანქანების მიერ ხორციელდება. შეძენილი ტექნიკის საფუძველზე მოსახლეობის მომსახურების ხარისხი გაუმჯობესდება.

საყოფაცხოვრებო ნარჩენი გადის მუნიციპალიტეტის ყველა სოფლიდან.

თითოეული მოქალაქის ვალდებულებაა, გაუფრთხილდეს გარემოს და ამავე დროს პატივისცემა გამოიჩინოს მეეზოვეების შრომის მიმართ.

სულ შეძენილი იყო 1 484 984 ლარის ღირებულების ტექნიკა.

✦ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის დაფინანსების პროგრამა

7 წელია, მრავალსართულიანი ბინების ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსების პროგრამების ფარგლებში ადგილობრივი ბიუჯეტიდან 12 სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები ფინანსდება.

პროგრამის ფარგლებში 2023 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი იყო 150 000 ლარი.

მოსახლეობის საჭიროებიდან გამომდინარე დამატებით გაიზარდა 50 000 ლარით.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული სამშენებლო კომპანიების დახმარებით ახორციელებენ.

2023 წელს აღნიშნული პროგრამით და დაფინანსებით განხორციელდა 9 პროექტი. მათ შორის 5 სოფელში და 4 კასპში. ძირითადად სახურავების, სადარბაზოების, წყალარინების (კანალიზაცია) სისტემების რეაბილიტაცია, რაზეც ჯამში 200 000 ლარი დაიხარჯა.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

გვხვდით ჩვენი მკითხველი!

ჩვენი ოლიმპიელი

ახლა, როცა კასპელი სპორტის გულშემატკივარი გაზეთის ამ ნომერს კითხულობს, ქალაქ პარიზში (საფრანგეთი) სულ ახალი დაწყებულია 33-ე საზაფხულო ოლიმპიური თამაშები. მასში მონაწილეობს 28 ქართველი სპორტსმენი. ისინი სპორტის 10 სახეობაში იასპარეზებენ საქართველოს სახელით.

მათ შორის არიან ოლიმპიური ჩემპიონებიცა და დებიუტანტებიც, ერთი საამაყო რეკორდსმენი ოლიმპიელი ქალბატონიც – ნინო სალუქვაძე. იგი მეათედ (!) ჩაერთო ოლიმპიადაში, რისი ანალოგიც არ ახსოვს ოლიმპიზმის ისტორიას.

დებიუტანტის მანტიით გამოვა კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო რენეში მცხოვრები, თავისუფალი სტილის მოჭიდავე გოდერძი ძებისაშვილი.

გოდერძი მესამე ჩვენებურია, ვინც ოლიმპიადაზე იასპარეზებს: ზუსტად 60 წლის წინ, 1964 წელს, ქ. ტოკიოში (იაპონია) მესამე პრიზიორი გახდა ჭიდაობის ამავე სახეობაში ნოდარ ხოხაშვილი (ასევე, რენელი), ხოლო 2016 წელს ქ. რიოდეჟანეიროში (ბრაზილია) მეხუთე შედეგი ჰქონდა ძიუდოისტ ამირან პაპინაშვილს.

წარმატება ვუსურვოთ ჩვენს მესამე ოლიმპიელს!

ხსოვნა

ჯემალ (ჯონი) მერებაშვილი



დედის სიხარულო და დედის მწუხარებავ, ჯარში ჯანმრთელი გაგაგზავნე და ინვალიდი დამიბრუნდი. ჭრილობებს რომ გიხვევდი, ცრემლი მდიოდა, არ ვიცი სიხარულის იყო რომ ცოცხალი დამიბრუნდი, თუ იმისი, რომ ინვალიდი მყავდი. ცოლი მოიყვანე, ორი შვილი შეგეძინა, ქალ-ვაჟი, მათ გაზრდას ვერ მოესწარი. შავად დაგვიმთავრდა 1991 წელი, 25 აგვისტოს 25 წლისა უნდა გამხდარიყავი და ოქროს დაბადების დღე გადაგვეხადა...

რაც 7 აგვისტოს ჩაგვმწარდა... ბედმა გაგწირა და წაგართვა შვილების გაზრდის სიხარული. დაგრჩა ორი ობოლი, 2 წლის და 9 თვის თემო და 1 წლის და 7 თვის მარი ფეხაუდგმელი. შენი შვილები სურათით გიცნობენ. იამაყებ შვილო შენი შვილებით, რადგან პატიოსნები დაიზარდნენ. სამი ვაჟი შვილიშვილი გყავს, კარგები გაგეზარდნენ შვილებიც და შვილიშვილებიც.

ილოცე შენი შვილებისა და შვილიშვილებისათვის. მსუბუქი იყოს ის მიწა, რომელიც გულზე გაწევს.

დედა.

დიდი ყავთისხევში

ივნისის ბოლო დღეს, "კავთობის" დღესასწაულთან დაკავშირებით სოფელ კავთისხევში გაიმართა საცხენოსნო დღი. კავთურისხეობელები მას უკვე ტრადიციულად ატარებენ. თანდათან მის მასშტაბებსაც ზრდიან. ამას მოწმობს დღის წლევანდელ მონაწილეთა ლომეტრიან გარბენში (დიდი შოთა ასე ბრძანებდა: "ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა..."). მასპინძელი მხარის წარმომადგენელთა სახელი ყველაზე უკეთ დაიცვა კასპელმა მხედარმა ლაზარე ონიკაშვილმა (ცხენი "ჯოი") – წინა შეჯიბრებათა 2-

გეოგრაფიული წარმომადგენლობა: მოყვარული ცხენოსნები და მხედრები კავთისხევს ეწვივნენ დუშეთიდან, ავჭალიდან. დიღმიდან, ნიჩბისიდან, ჩოჩეთიდან, მეტეხიდან, წილკნიდან, კასპიდან...

მათ საკუთარი თავები და თავიანთი ერთგული ოთხფეხა მეგობრები გამოსცადეს ორ დისტანციაზე: ორ და ექვსკილომეტრიან გზის გამარჯვებულმა. მან ამჯერად მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა გრძელ დისტანციაზე.

დღის გამარჯვებული და პრიზიორი მხედრები დაჯილდოვდნენ კასპის მუნიციპალიტეტის მერიისა და მისი სპორტის სამსახურის მიერ დაწესებული თასებით, დიპლომებითა და ფულადი თანხებით.

სტუდენტური ლოგების ხელოვნური სიურპრიზები ხელისხვთვის

ქ. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გრძელდება "სტუდენტური დღეები". მისი მუსიკალური კონკურსი "თსუ – 2024" ეტაპობრივად წარიმართა. ჟიურიმ გამარჯვებულები 5 ივლისს გამოავლინა. კონკურსის საუკეთესო სამ შემსრულებელს შორის მეორე პოზიცია ერგო ხატია მამულაშვილს – თსუ-ის ჰუმანიტარული ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტს (ისტორიის განხრით). მან ქართული და უცხოური საესტრადო სიმღერები შეასრულა. ხატია მამულაშვილი ამჟამად კასპის ბენდის წევრია და მასთან ერთად ხშირად გამოდის ადგილობრივ საკონცერტო ღონისძიებებში. მას დამთავრებული აქვს კასპის სამუსიკო სკოლა (სხვათა შორის, აქვე პედაგოგად მუშაობს მისი დედა – ლალი ღვინიაშვილი), შემდეგ კი საშემსრულებლო ხარისხი გორის მუსიკალურ სასწავლებელში აიმაღლა. ხატია ყველაფერს ასწრებს და ყოფილ პედაგოგებს ახარებს თავისი წინსვლით. ახლახან კასპის მესამე საბავშვო ბაღში საკუთარი აღმზრდელები მოინახულა და ბაღის ნახევარსაუკუნოვან იუბილეზე მათთვის საგანგებოდ იმღერა ... წლევანდელი საივლისო პირველი სტუდენტური სადებიუტო კონკურსი მისთვის მარად კეთილმოსაგონარი იქნება არა მარტო გამარჯვებით, არამედ ფრიად სასიამოვნო სიურპრიზითაც: სცენაზე დაჯილდოების ცერემონიის დამთავრებისთანავე გულისსწორმა ვაჟმა ხელი სთხოვა!

ცეკვის აკადემია "დიდგორი" (სამხატვრო ხელმძღვანელი ქეთევან მოსელიძე, მთავარი ქორეოგრაფი მარინა რუსიშვილი, ქორეოგრაფი დარინა პაპაშვილი) ამ თვის დასაწყისში ქ. ბათუმში მონაწილეობდა 10-დღიან საერთაშორისო ფესტივალში "ოქროს ჩანჩქერი".

"დიდგორი" ბათუმში

ორგანიზატორებმა და ჟიურიმ კასპელი აკადემიელები "ფესტივლის ჩემპიონებად" აღიარეს, რის დასტურადაც ისინი დიდი თასით დააჯილდოეს. ესოდენი აღიარება მით უფრო ფასეულია, რომ მოპოვებულია ბათუმურ ფესტივალში მონაწილე 8 ქვეყნის 100-ზე მეტ შემოქმედებით კოლექტივთან საკონკურსო პაექრობაში.

ერთი ცნობაც "დიდგორის" გამორჩეულობის ნიშნად: შავიზღვისპირულ წარმატებამდე სულ რამდენიმე დღით ადრე, ივლისის დასაწყისში, მისი კოლექტივი მიწვეული იყო ტელეკომპანია "რუსთავი-2"-ის სტუდიაში.

ვნონლი

ახლახან, ივლისის ბოლოს, სოფელ ნოსტესა და ლამისყანაში გამართული ქართული ჭიდაობის დღესასწაულების შესახებ და ახალ-ახალი სპორტული შეჯიბრებების შესახებ მოგითხრობთ წლევანდელი აგვისტოს სასპორტო თემატიკის მორიგ გამოშვებაში.

კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება.

ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲭᲐᲚᲐᲮᲐᲫᲔ ᲝᲯᲐᲮᲘᲗ ᲗᲐᲜᲐᲣᲒᲠᲫᲜᲝᲑᲡ ᲑᲝᲭᲝᲠᲐᲫᲔᲑᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲡ ᲛᲐᲛᲘᲡ ᲛᲔᲠᲐᲑ ᲑᲝᲭᲝᲠᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ.

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სახელოვნებო სკოლების დაწესებულებების გაერთიანება.

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება შ.პ.ს. ქოლორ პრესში

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ. კასპი სააკაძის ქ. № 68 ტელეფონი 22-25-76